“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 3:1 (2:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი. 19 აპრილი.

“დინამო”: აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე, სვანაძე (გურული), სულაქველიძე, ჩქარეული (ბარათაშვილი), კაკილაშვილი, შენგელია.

“დნეპრი”: კრაკოვსკი, უსტინოვი, დილაი, ზუევი, ლისენკო, პავლოვი, კუზნეცოვი, ფესორენკო (ლიუტი), უსტიმჩიკი, პოგორელოვი, ტარანი (სერებრიანსკი).

მსაჯი: ვ. ჟუკი (მინსკი).

გააფრთხილეს დილაი.

წინა ტურების უსიამო გრძნობა ამ მატჩშიც კარგა ხანს გაჰყვათ თბილისელებს. გუნდმა ვერა და ვერ ააწყო თამაში. მართალია, პირველი ტაიმის ნახევარზე მეტი “დინამო” თითქოსდა საგრძნობი შეცდომების გარეშე თამაშობდა, მაგრამ არ იყო მთავარი – ურთიერთგაგება, კავშირი. მასპინძელთა ორივე თავდამსხმელი – შენგელია და ჩქარეული მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დამუქრებიან მეტოქის კარს – თბილისელთა ნახევარდაცვა ერთობ დუნედ მოქმედებდა.

მოვლენათა ამგვარ განვითარებას კაცი მძიმეს ვერ დაარქმევ, მაგრამ როცა გუნდი დიდ ხანს ვერ პოულობს საკუთარ თავს, დგება იმედის დაკარგვის, უსაფუძვლო აჩქარებისა და ქაოსური თამაშის პერიოდი, რაც ბუნებრივია, კარგით არ მთავრდება. ვიღაცას უთუოდ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ამ თვალსაზრისით შემობრუნების მომენტად 36–ე წუთი უნდა მივიჩნიოთ. ლამაზი კომბინაცია ჩივაძე–მუჯირი–შენგელია თბილისელთა იერიშების ნიშნად იქცა. 37–ე წუთზე ჯოხაძემ, 2 წუთის შემდეგ კი შენგელიამ ორი გოლი გაიტანეს – 2:0. “დინამოს” შეტევა გრძელდება. გადის კიდევ სამიოდე წუთი და კაკილაშვილს “დნეპრის” საჯარიმოში ვფიქრობ, აკრძალული ილეთით “აჩერებენ”. არბიტრს, როგორც ჩანს, მეტისმეტი მოეჩვენა 5 წუთში 3 გოლი და თამაში გააგრძელეთო, ანიშნა ფეხბურთელებს.

პირველი ნახევრის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მეორე ტაიმში მას შემდეგ, რაც 61–ე წუთზე ლიუტიმ ერთი გოლი გაქვითა – 2:1.

თითქმის მოგებულ მატჩში ქულის დაკარგვა ბევრი ვერაფერი სასიამოვნო პერსპექტივაა და დინამოელთა კაპიტანმა ჩივაძემ ისევ იერიშზე წაიყვანა თანაგუნდელები. 74–ე წუთზე მის მიერ დაწყებული, რომ იტყვიან, ქრესტომათიული კომბინაცია კარგად გააგრძელა ჯოხაძემ და ასევე კარგად დაასრულა შენგელიამ, რომლის თამაში “დნეპრთან” მატჩში უთუოდ აღნიშვნის ღირსია – 3:1.

დაბოლოს, 6 მატჩში დაგროვებული 6 ქულა ჩვენს გულშემატკივარს, რა თქმა უნდა, საკმარისად არ ეჩვენება და ეს პრეტენზია გასაგებიც არის, მაგრამ მარტო საკუთარ აზრს არ გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ დინამოელთა ახალგაზრდულ გუნდსა და ჩვენც, მისი სიკეთის მსურველებს, ქულების ბუღალტრული ანგარიში, ჯერჯერობით მაინც, არაფერში წაგვადგება. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 21 აპრილი, 1983 წ.